შერჩევის პროცესი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იდეების კონკურსის შერჩევის პროცესი შექმნილია, რათა უზრუნველყოს ყველა წარდგენილი პროექტის სამართლიანი და საფუძვლიანი შეფასება. პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

განაცხადის შემოწმება

საკონკურსო კომისია თავდაპირველად შეამოწმებს წარდგენილი განაცხადები აკმაყოფილებს თუ არა შემდეგ კრიტერიუმებს:

- **ინოვაცია;**
- **იდეის აქტუალობა;**
- **კრეატიულობა;**
- **სისტემურობა;**
- **მასშტაბირება.**

ქულების დათვლა და შერჩევა

თითოეული პროექტი შეფასდება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ქულები დაგროვდება და უმაღლესი ქულების მქონე პროექტები გამოვლინდება შემდგომი განხილვისთვის.

გამარჯვებულების გამოცხადება

კონკურსში მონაწილეებს, კომისიის შედეგები ეცნობებათ ელ.ფოსტით მეშვეობით. შედეგები, ასევე, გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სხვა ოფიციალურ საკომუნიკაციო არხებზე.

ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი
grantsoffice@gtu.ge